



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვაშტიკიშვი"

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი სოფიო დვალიშვილი

ს. დვალიშვილი

"20" ივლისი 2018 წელი

N 46/36

გვ: N:1

სასჯელადსრულებისა და პრობაციის
სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
1. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
2. დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	6
2.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
2.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი	6
2.2.1 არაფინანსური აქტივები	6
2.2.2 მოთხოვნები და ვალდებულებები	10
2.2.3 სამედიცინო ხარჯები - მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ჩამოწერა	13
2.2.4 გამოძიების საფუძველზე დადგენილი, უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამოწერის საკითხი	14
2.2.6 ავტომობილების დაზღვევასთან დაკავშირებული ოპერაციების აღურიცხველობა	15
3. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	17
3.1 შრომის ანაზღაურება	17
3.2 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	18
3.2.1 ფასულობებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის საკითხი	18
3.2.2 დოკუმენტაციის წარუდგენლობის შედეგად სასამართლო დავებთან დაკავშირებული თანხების ანგარიშგებაში აღურიცხველობა	18
3.3 ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	19
4. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	20
5. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	21
6. დანართები	23

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

პრობაციის ეროვნული სააგენტო - სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

სამინისტროს აპარატი - პროგრამული კოდი: 27 01 („საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“).

1. ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, რომლის მმართველობის სფეროს განეკუთვნება:

-)/ სასჯელის აღსრულების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა;
-)/ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანიზება და პენიტენციური დაწესებულებების ერთიანი მართვა, მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
-)/ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე ზრუნვა;
-)/ არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;
-)/ სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან:

-)/ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
-)/ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების დაფინანსების და შემოსავლის წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

2017 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით, სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით სამინისტრო ახორციელებდა სამ პროგრამას და ქვეპროგრამას.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს პროგრამების/ქვეპროგრამების დამტკიცებული, დაზუსტებული და საკასო ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)

პროგრ. კოდი	დასახელება	დამტკ. გეგმა	დაზუსტ. გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულება (%)
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	139,100	143,100	142,687	100%
27 01	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	131,970	135,957	135,655	100%
27 01 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება	112,670	110,242	109,973	100%
27 01 02	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა	4,500	4,680	4,680	100%
27 01 03	პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	14,800	21,035	21,003	100%
27 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	6,130	6,162	6,101	99%
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,000	981	930	95%

სამინისტროს ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ:

ცხრილი N2. ინფორმაცია სამინისტროს დამტკიცებული, დაზუსტებული და საკასო ხარჯების შესახებ, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით (ათასი ლარი):

მუხლის დასახელება	დამტკიცებ. 2017	დაზუსტებ. 2017	საკასო ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება %
1	2	3	4	5	6
სულ სამინისტრო:	139,100	143,100	142,687	(413)	100%
შრომის ანაზღაურება	64,735	64,667	64,651	(16)	100%
საქონელი და მომსახურება	55,985	53,462	53,233	(229)	100%
გრანტები	10	10	10	-	100%
სოციალური უზრუნველყოფა	1,053	1,183	1,177	(6)	99%
სხვა ხარჯები	2,244	2,169	2,093	(76)	96%
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,073	21,213	21,127	(86)	100%
ვალდებულებების კლება	-	396	395	(1)	100%

2. დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

2.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

2.2.1 არაფინანსური აქტივები

ინვენტარიზაცია

) სამინისტროს ბალანსზე (სამინისტროს აპარატი) რიცხული არაფინანსური, ფინანსური აქტივებისა და მატერიალური ფასეულობების აღწერის მიზნით (გარდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვით შეძენილი მატერიალური ფასეულობებისა), სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით² შეიქმნა კომისია, ინვენტარიზაციის დასრულების ვადად კი განისაზღვრა 2016 წლის 1 აპრილი. აღნიშნული ვადა ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილ სხვადასხვა გარემოებათა გამო, რამდენჯერმე შეიცვალა. 2018 წლის 1

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით

² MOC 5 15 00006451 ბრძანება.

იანვრის მდგომარეობით, არ იყო აღწერილი სხვადასხვა ფასეულობები, ასევე, ინვენტარიზაციის პროცესი არ წარიმართა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობით³. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოხდა ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანა და მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში;

- J) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით⁴ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, სამინისტროში დაიწყო მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაცია, რომლის დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2017 წლის 31 დეკემბერი. კომისიის მიერ აუდიტის მიმდინარეობისას დასრულებული იყო ფაქტობრივი აღწერა და შედეგების გამოყვანა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თუმცა აღნიშნული უწყისები არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგები არ იყო ასახული 2017 წლის ანგარიშგებაში;
- J) 2017 წელს არ არის ჩატარებული ქონების (ასევე, მოთხოვნა-ვალდებულებების) ინვენტარიზაცია სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში⁵.

ინვენტარიზაციის განუხორციელებლობის გამო, სამინისტროს ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების არსებობა და სისრულე ვერ დასტურდება.

შენობა-ნაგებობები, დაუმთავრებელი მშენებლობა

ინვენტარიზაციის განუხორციელებლობის გამო, სამინისტროში ვლინდება ქონების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ნაკლოვანებები:

- J) სამინისტროს აპარატის შენობა-ნაგებობების ფართობები დადგენილი და სარეგისტრაციო მონაცემებში ასახულია მხოლოდ 3 პენიტენციურ დაწესებულებაზე⁶, დანარჩენ ობიექტებზე (12 პენიტენციური დაწესებულება და სხვადასხვა შენობა-ნაგებობები⁷) არ არის დაზუსტებული ფართობები, მათ სარეგისტრაციო მონაცემებში ასახულია ინფორმაცია მხოლოდ მიწის საერთო ფართის და მათზე განთავსებული ნაგებობების რაოდენობის შესახებ⁸. აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს აქტივების ჩამოწერის ოპერაციების ბუღალტრულად ასახვის

³ არ მიღებულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისგან დასტური შემოსავალ-გასავლის დოკუმენტაციის ბუღალტერიაში ჩაბარების შესახებ, ასევე ბუღალტერიისგან დასტური შემოსავალ-გასავლის დოკუმენტაციის ასახვის შესახებ (მოხსენებითი ბარათი MOC5 18 00267549, 26.03.2018)

⁴ MOC 4 16 00008646

⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

⁶ მე-2, მე-15 და მე-19 პენიტენციური დაწესებულებები

⁷ ცენტრალური საწყობი, წვევამდელოა გადამზადების ცენტრი გეგუთში, სპეცრაზმის შენობა ქ.რუსთავეში, 2 ადმინისტრაციული შენობა

⁸ სამინისტროს აპარატზე, საადრიცხო ჩანაწერებით შენობა-ნაგებობების ანგარიში (N2112, N2119) მოიცავს თანხობრივი ნაშთის მქონე 868 ქვეანგარიშს, ფართობები კი მითითებულია მხოლოდ 9 ქვეანგარიშზე, ჯამურად 145.95 ათასი კვ.მ.

სირთულეს(საკითხის დარეგულირების მიზნით, სამინისტროში 2018 წლის აპრილიდან მიმდინარეობს სამინისტროს სასაწყობო სამმართველოზე რიცხული ქონების სრული ინვენტარიზაცია);

- ა) აუდიტის შედეგად გამოვლინდა საბალანსო მონაცემებით შენობა-ნაგებობების და დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშებზე რიცხული გაუქმებული დაწესებულებები და სხვა ობიექტები, რომლებიც სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში აღარ იმყოფება (იხ. ცხრილი N3). კერძოდ, ზოგიერთი მათგანი, სარეგისტრაციო მონაცემების თანახმად, დაბრუნებულია სახელმწიფოსთვის (ხონის, ზუგდიდის, ავჭალის და ოზურგეთის ობიექტები) ან პრივატიზებულია (ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე შენობა), დანარჩენი ობიექტები არ ფიქსირდება საინვენტარიზაციო ფაქტობრივი აღწერით და სამინისტროს მხრიდან რაიმე სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი.

ცხრილი N3. ინფორმაცია სამინისტროს ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული ქონების ღირებულების შესახებ

მდებარეობა	კატეგორია	ისტორიული ღირებულება	საბალ. ღირ-ბა (01.01.2017)	საბალ. ღირ-ბა (12.31.2017)
სამინისტრო:				
ზუგდიდი	შენობა-ნაგებობები	334,205	283,834	280,020
ხონი	შენობა-ნაგებობები	125,884	86,437	81,333
ავჭალა	შენობა-ნაგებობები	671,237	492,710	468,614
მარნეული	შენობა-ნაგებობები	11,934	11,099	10,979
ნორიო	შენობა-ნაგებობები	484,670	353,864	334,842
ნინოწმინდა	დაუმთავრ. მშენებლობა	545,065	545,065	545,065
საგარეჯო	შენობა-ნაგებობები	141,431	116,185	112,578
ქ. თბილისი, გორგასლის ქ N75 ⁹	შენობა-ნაგებობა, დაუმთავრ. მშენებლობა	44,953	42,589	42,180
პრობაციის სააგენტო:				
ოზურგეთი	შენობა-ნაგებობები	-	10,287	10,190

⁹ პრივატიზებულია, დეტალურად იხ. ქვემოთ.

არაწარმოებული აქტივები - მიწა

- 2410 ანგარიშზე ირიცხება პრივატიზებული მიწა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, კერძოდ, ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N75-ში მდებარე 652 კვ.მ მიწის ნაკვეთი¹⁰, ღირებულებით 260.8 ათასი ლარი, ასევე მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და დაუმთავრებელი მშენებლობა - ჯამური ღირებულებით 42.18 ათასი ლარი (სულ, 302.98 ათასი ლარი), რომლის მესაკუთრედ, სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, ფიქსირდება კერძო ორგანიზაცია¹¹. შესაბამისად, მიწა არ წარმოადგენს სამინისტროს საკუთრებას;
- 2410 საბალანსო ანგარიშზე ასევე ირიცხება ქ. ხონში მდებარე გაუქმებული დაწესებულების მიწა, ღირებულებით 70.06 ათასი ლარი, რომელიც სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, აღარ იმყოფება სამინისტროს სარგებლობაში;
- 2410 საბალანსო ანგარიშზე არ არის სრულად აღრიცხული სამინისტროს აპარატის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი. კერძოდ, ფაქტობრივი აღწერით და წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერები) მიხედვით, ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის საერთო ფართი 1,704.60 ათას კვ.მ-ს შეადგენს, სააღრიცხვო ჩანაწერებში კი ასახულია მხოლოდ 222.19 ათასი კვ.მ¹² (სარგებლობაში არსებული მიწის საერთო ფართის 13.03%). აქედან 193.38 ათასი კვ.მ მიწა არ არის შეფასებული¹³, შესაბამისად, ბალანსზე ასახულია ღირებულების გარეშე¹⁴;
- 2112 საბალანსო ანგარიშზე პრობაციის სააგენტოს თბილისის, ოზურგეთის და რუსთავის ოფისების 1,753.07 ათასი ლარის საერთო ღირებულებიდან არ არის გამიჯნული, შეფასებული და 2410 ანგარიშზე ასახული შესაბამისი მიწის ფართობი, რომელიც სარეგისტრაციო მონაცემებით შეადგენს 4,236 კვ.მ-ს¹⁵.

შესაბამისად, სამინისტროს ბალანსზე მიწის ღირებულება წარმოდგენილია ნაწილობრივ გაზრდილი (330.86 ათასი ლარით), ნაწილობრივ (დაუდგენელი თანხით) - შემცირებული ღირებულებით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების არსებობა, სისრულე და სიზუსტე ვერ დასტურდება.

¹⁰ საკადასტრო კოდი: 01.18.06.019.063

¹¹ შპს „ორთაჭალა“ (ს/ნ 405213745).

¹² სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიწის ნაწილი, დიდ ლილოსა და დიდ დილოში არსებული მიწის ნაკვეთები, მე-3 დაწესებულების მიწა.

¹³ აღნიშნული მიწა სამინისტროს მიერ 2015 წელს არის მიღებული, დანარჩენი აღურიცხავი ქონება წინა წლებშია მიღებული.

¹⁴ სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული უკავშირდება მიწის ღირებულებით შეფასების პრობლემას.

¹⁵ თბილისი - 2677 კვ.მ, ოზურგეთი - 936 კვ.მ, რუსთავი - 600 კვ.მ (რაოდენობები წარმოდგენილია იმ ფართის ჩათვლით, რომლებზეც განთავსებულია შენობებები).

2.2.2 მოთხოვნები და ვალდებულებები


სამინისტროს დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი N4. დებიტორული დავალიანება (ათასი ლარი)

დასახელება	ანგ N	01.01.2017	31.12.2017
აქციები და სხვა კაპიტალი	1330	765.00	825.00
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	252.23	693.95
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	1355	356.94	3.58
მოთხოვნები საქონლის და მომსახ. მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	581.85	136.46
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	10,238.87	8,250.53
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაპოლისებით	1440	50.26	50.26
სხვა დანარჩენი მოთხოვნები	-	55.17	201.60
ჯამი:		12,300.32	10,161.38

საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნების 52%-ზე მეტი (5,305.93 ათასი ლარი) წარმოშობილია 2004-2010 წლებში და ირიცხება სხვადასხვა ორგანიზაციაზე.

სქემა N1. დებიტორული დავალიანების სტრუქტურა სამინისტროს პროგრამული კოდეხისა და წლების მიხედვით



მოთხოვნების ყველაზე დიდი წილი მოდის 2004 წელს წარმოშობილ, შპს „ნოლას“ დავალიანებაზე, რომელიც შეადგენს 4,299.5 ათას ლარს. სამინისტროს მიერ აღნიშნული დავალიანების შესაბამისი დოკუმენტაცია გადაგზავნილია სამართალდამცავ უწყებაში, რომელთანაც დამატებითი კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ განხორციელებულა.

ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებების დადასტურების მიზნით, აუდიტორული პროცედურების შესაბამისად, 13 მსხვილ დებიტორ ორგანიზაციასთან გაიგზავნა დასტურის წერილები, რომელთა შედეგებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.

სქემა N2. დებიტორული დავალიანების დადასტურების შედეგები



სამინისტროს მიერ წლების განმავლობაში არ ტარდება მოთხოვნების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად¹⁶, გამომდინარე აღნიშნულიდან, დებიტორ ორგანიზაციებთან არ გაფორმებულია ურთიერთშედარების აქტები და არ გატარებულია სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალურობის დასადგენად¹⁷.

გარდა დასტურის წერილებით მოპოვებული ინფორმაციისა, ცალკეულ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით ფიქსირდება სხვადასხვა გარემოება. კერძოდ:

1) დოკუმენტაციის მიუწოდებლობით გამოწვეული შიდა კონტროლის ნაკლოვანების შედეგად, არარეალური ნაშთის არსებობა/თანხების აღურიცხველობა:

- მოთხოვნების 1354 ანგარიშზე (მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით) ირიცხება შპს „თი ემ-ზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა, 100.2 ათასი ლარი (საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით). აღნიშნულ პირგასამტეხლოზე არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 10.0 ათას ლარზე, ხოლო უზენაესი სასამართლოს მიერ სამინისტროს სარჩელი ცნობილ იქნა დაუშვებლად. შპს „თი ემ-ის“ მიერ აღნიშნული თანხა (10.0 ათასი ლარი) გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში¹⁸. სხვაობის თანხა, 90.2 ათასი ლარი, 2017 წელს აღიარებული უნდა ყოფილიყო არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე¹⁹. შედეგად,

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;

¹⁷ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

¹⁸ 2017 წლის ნოემბერი.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 N429 დეკემბრის ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 31.

ანგარიშგებაში შემცირებულად არის წარმოდგენილი არასაოპერაციო ხარჯების ანგარიში და გაზრდილია დებიტორული დავალიანება;

- დებიტორული დავალიანების 1354 ანგარიშზე (მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით) და შემოსავლების (სანქციები, ჯარიმები, საურავები) ანგარიშზე არ არის ასახული 2017 წელს 2 საიდუმლო ხელშეკრულებით²⁰ მომწოდებლებზე დარიცხული 263.61 ათასი ლარის პირგასამტეხლოს თანხა²¹. შედეგად, ზემოაღნიშნულ ანგარიშებზე თანხები წარმოდგენილია შემცირებული ღირებულებით. გარდა ამისა, აღნიშნული წარმოშობს დარიცხული პირგასამტეხლოების საფუძველზე წარმოქმნილი დავალიანებების კონტროლის რისკს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი დებიტორი ორგანიზაციის²² (დავალიანების თანხა - 626.72 ათასი ლარი, წარმოშობის პერიოდი - 2006 წელი) სარეგისტრაციო წარმოება მარეგისტრირებელი ორგანოს²³ მიერ შეჩერებულია²⁴ 2012 წელს და კომპანიის წილის გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით, წერილი გადაგზავნილია მთავარ პროკურატურაში²⁵.

2017 წლის ბოლოს სამინისტროს ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანება 2,864.54 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც დაახლოებით 97% (2,779.08 ათასი ლარი) მოდის სამინისტროს აპარატზე. აქედან, 2,540.48 ათასი ლარი სააღრიცხვო მონაცემებით, წარმოშობილია 1996-2010 წლებში. ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, სამინისტროში წლების განმავლობაში არ ტარდება ვალდებულებების ინვენტარიზაცია, კანონმდებლობის შესაბამისად²⁶.

²⁰ ხელშეკრულება 66-ს (20.07.2016), 75-ს(19.09.2016).

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 82, პუნქტი 12.

²² შპს „სამშენებლო-სამრეწველო გაერთიანება იბერია“, ს/კ- 204984339

²³ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

²⁴ საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, მუხლი 25, პუნქტი 2: „რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამონაწერის მომზადება, ასევე უფლების (გარდა, საგადასახადო გირავნობისა/იპოთეკისა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია“. შეჩერების გადაწყვეტილება, კანონმდებლობის შესაბამისად, ძალაშია „შესაბამისი ორგანოს კანონიერ ძალაში შესულ აქტში მითითებული ვადით ან/და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების სამართლებრივი საფუძვლის აღმოფხვრამდე“. აღნიშნულის შემდგომ, კომპანიის შესახებ განახლებული ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ ფიქსირდება.

²⁵ 2012 წლის 2 მაისი, N67519 წერილი.

²⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების არსებობა, სისრულე და სიზუსტე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვერ დასტურდება.

2.2.3 სამედიცინო ხარჯები - მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ჩამოწერა

2017 წლის ანგარიშგებაში, „სამედიცინო ხარჯების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი (სამინისტროს აპარატი) 4,621.49 ათას ლარს შეადგენს, დარიცხული ხარჯი კი, 13,945.44 ათასი ლარია. საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გადახრის მაღალი მაჩვენებელი (9,323.45 ათასი ლარი) განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- J სამინისტროში მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯ მასალებთან დაკავშირებული პროცესების (შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გამოყენება, ხარჯებში ჩამოწერა, განადგურება) მოწესრიგების მიზნით, 2016 წლის 27 დეკემბერს დამტკიცდა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის შესაბამისი ბრძანება²⁷. ასევე 2016 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით დაიწყო სამედიცინო დანიშნულების მარაგების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის პროცესში სხვადასხვა დაწესებულებაში გამოვლენილი ზედმეტობა -ნაკლებობების შემდგომი დაზუსტების ეტაპზე კომისიის მიერ მოძიებული და ამოღებულ იქნა ფარმაცევტული მასალების შემოსავალ-გასავლის (ხარჯვის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მედიკამენტების ხარჯვის ანგარიშები, მიღება-ჩაბარების აქტები, რეცეპტები), რომელიც საბუღალტრო ჩანაწერებში არ იყო დაფიქსირებული (ვინაიდან საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოსთვის არ იყო გადაცემული) ან თავიდან საჭიროებდა დაზუსტება-გადამოწმებას, რაც შემდგომში გახდებოდა რეალური ზედმეტობა-ნაკლებობის დადგენის საფუძველი²⁸. კომისიის მიერ მოძიებული მასალები მოიცავს დოკუმენტაციას, რომელიც 2009-2016 წლებით თარიღდება და მათი ბუღალტრულად ასახვა განხორციელებულია 2017 წლის ანგარიშგებაში;
- J 2014-2015 წლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში²⁹ მიღებული მედიკამენტების ინდივიდუალურად, პაციენტების მიხედვით გახარჯვის დოკუმენტაციის წარმოება და შემდგომ მათი ელექტრონული აღრიცხვა ხორციელდებოდა პენიტენციური დაწესებულებების მიერ, თუმცა ხარჯების შესაბამის პერიოდში ბუღალტრულად ასახვა ვერ ხდებოდა ნაერთი სახის დოკუმენტაციის წარმოდგენლობის, არასათანადოდ (არასრულყოფილად) შევსებული დოკუმენტაციის ან/და

²⁷ MOC 5 16 00008629

²⁸ საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი, N MOC 8 17 00764244.

²⁹ ვირუსული „C“ ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა, „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის“ პროგრამა, „შიდსის დაავადების პრევენციის დიაგნოსტიკის და მკურნალობის“ პროგრამა

მათი დაგვიანებით წარმოდგენის გამო³⁰. აღნიშნული მედიკამენტები ხარჯებში ჩამოიწერა 2017 წელს³¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ჩამოწერის შედეგად მიღებული სამედიცინო ხარჯები არ ასახავს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის რეალურ მაჩვენებელს და წარმოდგენილია მნიშვნელოვნად გაზრდილი ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნული გავლენას ახდენს ამავე პერიოდის წმინდა ღირებულებაზე. სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა წინა პერიოდის არსებითი შეცდომების რეტროსპექტიულად გასწორება, რაც გულისხმობს აქტივების და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებას, ინსტრუქციის შესაბამისად³².

2.2.4 გამოძიების საფუძველზე დადგენილი, უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამოწერის საკითხი

2017 წლის 29 სექტემბერს, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მიერ ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მისამართით გაგზავნილი წერილის თანახმად³³, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ 2016 წლის 27 მაისს სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების საფუძველზე დადგინდა, რომ 2013-2016 წლებში სამინისტროს სასაწყობო სამმართველოს 4 თანამშრომლის მიერ ჯგუფურად მითვისებულ იქნა სასაწყობო სამმართველოზე რიცხული 232.09 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნივთი, ასევე მათ წინასწარი შეთანხმებით, იმავე სასაწყობო სამმართველოდან და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტანეს და ჯართის მიმღებ პუნქტში 121.32 ათას ლარად ჩააბარეს სამინისტროს კუთვნილი 321.92 კგ ოდენობის ლითონის სხვადასხვა მეორადი ნაკეთობა. შედეგად, სამინისტროს მიადგა 353.41 ათასი ლარის მატერიალური ზიანი. 2016 წლის ივნისში აღნიშნული პიროვნებები მიცემული იქნენ პასუხისგებაში და სასამართლოს მიერ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით. საპროცესო შეთანხმების თანახმად, 2017 წლის იანვარში კი, მათ სამინისტროს ზიანის ანაზღაურების სახით ჩაურიცხეს 120.0 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მითვისებული აქტივები კვლავ რიცხულია სამინისტროს სასაწყობო სამმართველოზე, რაც ფაქტობრივად არარსებულ ქონებას წარმოადგენს და საჭიროა ჩამოიწეროს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

³⁰ აღნიშნულის შესახებ საუბარია წინა პერიოდის აუდიტების ანგარიშებში.

³¹ ხარჯი ძირითადად მოიცავს სამი დასახელების მედიკამენტს: სოვალდი - 7,114.25 ათასი, პეგფერონი - 556.18 ათასი, პეგასისი - 128.20 ათასი, სულ: 7,798.63 ათასი ლარი.

³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 14, პუნქტი 10.

³³ MOC 2 17 00763960, 29/09/2017

2.2.5 ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშზე, დასახელებით „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა 1,847.36 ათასი ლარის ღირებულების აქტივები, რომლებიც განსხვავებით 2016 წლისგან, 2017 წელს არ არის იდენტიფიცირებული დასახელებების მიხედვით საბუღალტრო პროგრამაში. წლის განმავლობაში აღნიშნულ ნარჩენ საბალანსო ღირებულებაზე დარიცხულია ცვეთის თანხა 15%-იანი განაკვეთით, რომელმაც 277.10 ათას ლარი შეადგინა. აღნიშნული არ შეესაბამება სააღრიცხვო ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რის მიხედვითაც, დასარიცხი ცვეთის თანხა გაიანგარიშება ცვეთის კოეფიციენტის გამრავლებით ისტორიულ ღირებულებაზე³⁴. 2016 წელს აღნიშნული ღირებულების აქტივებზე დარიცხული ცვეთა 562.85 ათას ლარს შეადგენს. 2017 წელს, ინსტრუქციის გათვალისწინებული ნორმებით, მათზე დარიცხული ცვეთა 482.63 ათას ლარს უნდა შეადგენდეს.

შედეგად, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში ცვეთის ხარჯი 205.53 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

2.2.6 ავტომობილების დაზღვევასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვებზე

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევასთან დაკავშირებული 2017 წლის ხელშეკრულების ფარგლებში (სამინისტროს აპარატი) წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ანაზღაურებულია 106 სადაზღვევო შემთხვევა, საერთო ღირებულებით - 197.48 ათასი ლარი, რომელიც არ არის ასახული სააღრიცხვო ჩანაწერებში³⁵. შედეგად, გარდა იმისა, რომ კონსოლიდირებული ანგარიშგების ფორმა N2-ში შემცირებულად არის წარმოდგენილი მუხლები: „შემოსავალი საკუთრებიდან“ (შემოსავლები) და „საქონელი და მომსახურება“ (ხარჯები), არსებობს რისკი იმისა, რომ ვერ განხორციელდეს სრულყოფილი კონტროლი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებებზე.

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი 1.

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 15.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

3. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

3.1 შრომის ანაზღაურება

2017 წელს სამინისტროს აპარატის მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 60,411.75 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

შრომის ანაზღაურების სახით გაწეული ხარჯი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N5: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2017 წელს გაწეული საკასო ხარჯი

შრომის ანაზღაურება	60,411,753
თანამდებობრივი სარგო	51,357,907
წოდებრივი სარგო	848,781
პრემია	2,096,033
დანამატი	6,109,032

სამინისტროს აპარატის 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 4587 ერთეულს (2017 წლის თებერვალში საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებით, რაოდენობა 4135 ერთეულამდე შემცირდა, თუმცა შრომის ანაზღაურების ფონდი დარჩა უცვლელი), ფაქტობრივი საშტატო რიცხოვნობა კი - 3762 ერთეულს. „დანამატის“ მუხლით წლის განმავლობაში გაცემულია 6,109.03 ათასი ლარი. მაქსიმალური ოდენობის დანამატი შეადგენდა 6,250 ლარს. რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნული ოდენობის დანამატი ყოველთვიურად გაიცემოდა³⁶. თანამდებობრივ სარგოზე ორმაგი და მეტი ოდენობის დანამატი გაცემულია 175 შემთხვევაში. დანამატების გაცემა სამინისტროს მხრიდან დასაბუთებულია ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულებით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ არ ხდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, თუმცა, სახეზე იყო დანამატის თანამდებობრივ სარგოსთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი (რაც 2018 წლიდან მინისტრის ბრძანებით დარეგულირდა და მნიშვნელოვნად შემცირდა). შედეგად, ფიქსირებული ოდენობის დანამატის ყოველთვიური დანიშვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებდა, ვიდრე დანამატის.

³⁶ დაწესებულების დირექტორებზე, თუმცა 8-დან 7 შემთხვევაში, შვებულებაში ყოფნის გამო, გაცემულია დანიშნულზე ნაკლები ოდენობის დანამატი.

3.2 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

3.2.1 ფასეულობებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის საკითხი

სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანების³⁷ შესაბამისად, სამინისტროს 6 საწყობში განხორციელდა მატერიალურ ფასეულობათა აღწერა 2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით და შესაბამისი ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტით მათი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადაბარება. ანალოგიური სახით ფასეულობების აღწერა და გადაბარება, კანონმდებლობის შესაბამისად³⁸, არ არის განხორციელებული სამინისტროს 15 დაწესებულების საწყობის მენეჯერზე, ამავე დაწესებულებების აფთიაქებსა და იმ ქვედანაყოფებზე (გარე დაცვის განყოფილებები, კინოლოგიის განყოფილება და ა.შ.), სადაც ხორციელდება ფასეულობათა მიღება, შენახვა და გაცემა. აღნიშნული წარმოშობს აქტივების დაცულობის რისკებს, ვინაიდან ფორმალურად არ არსებობს მათ მიღება/შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. ზემოაღნიშნულ 6 საწყობზე სააღრიცხვო მონაცემებით 2017 წლის ბოლოს რიცხული მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საერთო ღირებულება ამავე თარიღით სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულების დაახლოებით 39%-ს შეადგენს³⁹.

3.2.2 დოკუმენტაციის წარუდგენლობის შედეგად სასამართლო დავებთან დაკავშირებული თანხების ანგარიშგებაში აღურიცხველობა

ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხვები

სამინისტროს მიერ არ ხორციელდება ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხვების აღრიცხვა⁴⁰. მაგალითად, 2017 წელს, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ეროვნულ ბანკში წარდგენილი საინკასო დავალების საფუძველზე, ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან იძულების წესით ჩამოჭრილია სამინისტროს დავალიანება. კერძოდ, 2 პირზე ზიანის კომპენსაციის თანხა - 9.68 ათასი ლარი, რომელთა ანაზღაურებაზეც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია 2015 წელს, თუმცა აღნიშნული თანხა არ იყო ასახული კრედიტორული დავალიანების ანგარიშზე „სხვა მოკლევადიანი ანარიცხვები“. ზემოაღნიშნული განპირობებულია იურიდიული დეპარტამენტის მიერ საფინანსო სამსახურისთვის დოკუმენტაციის წარუდგენლობით, რაც, თავის მხრივ, შიდა კონტროლის სისუსტის მაჩვენებელია.

³⁷ MOC 5 17 00000662

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 70, პუნქტი 6.

³⁹ საერთო ღირებულება - 10,886.70 ათასი ლარი, 6 საწყობზე რიცხულის ღირებულება, წარმოდგენილი ინფორმაციით - 4,191.93 ათასი ლარი.

⁴⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 49, პუნქტი 11.

პირობითი მოთხოვნები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი 1-ის საცნობარო მუხლში, ანგარიშზე „პირობითი მოთხოვნები“⁴¹, არ არის ასახული 2016 წელს 1 (ერთი) ხელშეკრულებით, გრიფით „საიდუმლო“⁴² მიმწოდებელზე დარიცხული 1,130.17 ათასი ლარის პირგასამტეხლოს თანხა (საქმეს საქართველოს უზენაესი სასამართლო იხილავს).

3.3 ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების ანგარიშზე (აქციები და კაპიტალი, N1330), 2017 წლის ბოლოს ირიცხება 825.0 ათასი ლარი, რაც წარმოადგენს შპს „პერსპექტივი-სათვის“ კაპიტალის სახით შეტანილ თანხას. შპს „პერსპექტივა“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2011 წლის 29 დეკემბერს რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის 100%-იან წილს ფლობს პრობაციის ეროვნული სააგენტო. მისი საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს პატიმრობის კოდექსით⁴³ გათვალისწინებული პაემნების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. დაფუძნების თარიღისთვის კაპიტალი, ფულადი შენატანის სახით, შეადგენდა 500.0 ათას ლარს, რომელიც სამინისტროს ბალანსზე აისახა როგორც „აქციები და სხვა კაპიტალი“ (საბალანსო ანგარიში - 1330). 2017 წლის 1 იანვარს აღნიშნული ანგარიშის საწყისი ნაშთი შეადგენდა 765.0 ათას ლარს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული შენატანით (60.0 ათასი ლარით) გაიზარდა და 825.0 ათასი ლარი შეადგინა. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში (შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებშიც) არ არის ასახული ფინანსური ინფორმაცია კონტროლირებული ერთეულის, შპს „პერსპექტივის“ შესახებ, აქტივების, ვალდებულებების, ნამეტის და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით⁴⁴.

⁴¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 110, პუნქტი 6.

⁴² ხელშეკრულება 56-ს(20.04.2015), დავა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

⁴³ 17² და 17³ მუხლები.

⁴⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 41, პუნქტი 31: „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს: ბ) კონტროლირებული ერთეულების კრებსითი ფინანსური ინფორმაცია, ინდივიდუალურად და ჯგუფურად, აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით, რომელიც არ არის კონსოლიდირებული“

4. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

5. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის.

თუმცა, მომავალში მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

ლევან შუბითიძე

უფროსი აუდიტორი

ქეთევან მცურავიშვილი

აუდიტორი



6. დანართები

კონსოლიდირებული ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

	დასახელება	ანგარიში	2017 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	1,221,582	1,382,524
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	1,681,766	1,386,226
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	8,479,615	10,914,112
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	6,133,357	14,988,262
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		17,516,321	28,671,124
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	-	-
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	4,865,819	4,824,254
120	ძირითადი აქტივები	2100	272,710,715	258,415,709
130	ფასეულობები	2300	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	1,798,323	1,534,843
150	საინვესტიციო ქონება	2500	-	-
160	სულ გრძელვადიანი აქტივები		279,374,857	264,774,806
170	ბალანსი		296,891,178	293,445,930
180	ვალდებულებები			
190	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
200	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	2,466	12,159
210	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	2,862,074	3,272,087
220	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		2,864,540	3,284,246
230	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	-	-
240	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
250	სულ ვალდებულებები		2,864,540	3,284,246
260	კაპიტალი			
270	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	289,072,388	285,584,970
280	გაუნაწილებელი მოგება	5220	4,954,250	4,576,714
290	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
300	სულ კაპიტალი		294,026,638	290,161,684
310	ბალანსი		296,891,178	293,445,930

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება		2017 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)			2016 წლის 31 დეკემბერი (საანგ. წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	142,687,069		142,687,069	7,430,692
020	შემოსავლები (030+040+050+060)	2,153,377	2,181,282	4,334,659	2,520,542
030	გადასახადები			-	-
040	სოციალური შენატანები			-	-
050	გრანტები	213,671	15,989	229,660	562,146
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	1,939,706	2,165,293	4,104,999	1,958,396
070	ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	-	-	508
080	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,027,174	2,121,215	3,148,389	1,957,356
090	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	775,275	43,274	818,549	-
100	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	88,725	-	88,725	532
110	ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	48,532	804	49,336	-
120	სულ: (010+020)	144,840,447	2,181,282	147,021,729	9,951,234
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	64,642,563	1,063,287	65,705,850	5,238,109
150	საქონელი და მომსახურება	62,670,328	280,172	62,950,500	2,132,513
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	10,220,158	59,263	10,279,421	766,467
170	პროცენტი	-	-	-	-
180	სუბსიდიები	-	-	-	-
190	გრანტები	131,620	262,132	393,752	7,758
200	სოციალური უზრუნველყოფა	1,175,109	-	1,175,109	73,217
210	სხვა ხარჯები	2,099,016	32,784	2,131,800	85,583
220	სულ: (140+150+160+170+180+190+200+210)	140,938,794	1,697,638	142,636,432	8,303,647
230	ფინანსური შედეგი (120-220)	3,901,652	483,644	4,385,297	1,647,587

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდ ები	სულ
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	3,487,418	377,536	-	3,864,954
020 კორექტირებები:	17,630,862	(331,672)	-	17,299,190
030 ცვეთა (+)	10,220,158	59,263	-	10,279,421
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(1,761,330)	(15,989)	-	(1,777,319)
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	8,854,905	-	-	8,854,905
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(41,565)	-	-	(41,565)
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	394,814	(184,199)	-	210,615
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(36,120)	(190,747)	-	(226,867)
090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	21,118,280	45,864	-	21,164,144
100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120 ძირითადი აქტივები	-	-	-	-
130 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
140 ფასეულობები	-	-	-	-
150 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
160 საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
170 არაფინანსური აქტივების შესყიდვა	21,127,146	128,248	-	21,255,394
180 ძირითადი აქტივები	21,127,146	128,248	-	21,255,394
190 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
200 ფასეულობები	-	-	-	-
210 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
220 საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
230 წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(21,127,146)	(128,248)	-	(21,255,394)
240 ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
250 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	(60,000)	-	(60,000)
260 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(9,694)		-	(9,694)
270 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(9,694)	(60,000)	-	(69,694)
280 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(18,558)	(142,383)	-	(160,942)
290 ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	21,071	1,361,453	-	1,382,524
300 ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	2,513	1,219,070	-	1,221,582
310 ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)	-	-	-	-
320 დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-		-	

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

N	დასახელება		(საანგარიშო წელი)	
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	საწყისი ნაშთი	285,584,970	4,576,714	290,161,684
020	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
030	წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	4,702	4,702
040	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	285,584,970	4,581,416	290,166,386
050	არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	1,765,198	-	1,765,198
060	კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
070	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,765,197.99	-	1,765,198
080	არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	127,085	-	127,085
090	კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
100	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	127,085	-	127,085
110	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)	2,052,348	110,810	2,163,158
120	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	2,052,348	-	2,052,348
130	მოგების გადასახადი	-	110,810	110,810
140	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	3,901,652	483,644	4,385,297
150	ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+140)	289,072,388	4,954,250	294,026,638

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი გეგმით	დაზუსტ ებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებ ულ და დაზუსტებ ულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებუ ლ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივ ი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010 ხარჯები	124,027,000	121,491,517	-2.04%	121,164,430	-4.54%	140,938,794	19,097,860
020 მათ შორის:	-	-	-	-	-	-	-
030 შრომის ანაზღაურება	64,735,000	64,667,000	-7.56%	64,651,443	-0.07%	64,642,563	(8,879)
040 არაფინანსური აქტივების ზრდა	15,073,000	21,212,880	5.59%	21,127,146	-117.96%	21,127,146	-
050 ფინანსური აქტივების ზრდა	-	60,000	0.00%	60,000	0.00%	60,000	-
060 ვალდებულებების კლება	-	395,603	0.00%	395,494	-0.06%	395,494	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE